

**Тбилисский государственный университет  
имени Иванэ Джавахишвили**

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**КУЛЬТУРНО-ИСТОРИЧЕСКИЕ  
РАЗЫСКАНИЯ**

**CULTURALS-HISTORICAL  
RESEARCHES**

**II**

Тбилиси 2018 Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**კულტურულ-საისტორიო  
ძიებანი**

**II**



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**რედაქტორი** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
თსუ-ის ასოც. პროფესორი  
მარია მშვილდაძე

**რეცენზენტი** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
თსუ-ის ასოც. პროფესორი  
ზვიად კვიციანი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018

ISBN 978-9941-13-784-6

## შინაარსი CONTENTS

<b>გურამ ლორთქიფანიძე</b> .....	11
<b>პროფ. გურამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფია</b> .....	19
<b>Bibliography of Prof. Guram Lortkifanidze's works</b> .....	19
<b>ვლადიმერ პაპავა</b> ცენტრალური კავკაზიის ქვეყნები და ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში განვითარების პერსპექტივა .....	33
<b>Vladimer Papava</b> The Central Caucaso-Asian Countries and the Prospects of their Membership to the Eurasian Economic Union .....	41
<b>ლერი ჯიბლაძე, ზვიად კვიციანი</b> მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის საკითხისათვის გვიანბრინჯაოს ხანის კოლხეთში .....	44
<b>Leri Jibladze, Zviad Kvitsiani</b> The Issues of Relationship between the Population of Highlands and Lowlands in Colchis in the Late bronze Age .....	50
<b>ზურაბ ბრავაძე</b> კოლხურ-ეგეოსური ურთიერთობების დინამიკა ძვ.წ. II-I ათასწლეულში .....	52
<b>Zurab Bragvadze</b> Dynamic of Colchis-Aegean Relations in II-I Millennium B.C. ....	57
<b>დავით ლომიტაშვილი, ანა თვარაძე</b> „ნოქალაქევის ტიპის“ ნამოსახლართა ქრონოლოგია – ძვ.წ. VIII-VII სს. ნოქალაქევი I .....	60
<b>David Lomitashvili, Ana Tvaradze</b> Chronology of “Nokalakevi type” settlements – BC. VIII-VII Nokalakevi I .....	63
<b>მარია მშვილდაძე</b> საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიან ანტიკური ხანის რომაული მედალიონების შესწავლის საკითხისათვის .....	64
<b>Marika Mshvildadze</b> For the issue of the late antiquity Roman medallions study found on the Georgian territory .....	71
<b>ქეთევან დიღმელაშვილი</b> სარკების გავრცელების საკითხისათვის ძველ საქართველოში .....	77
<b>Ketevan Digmelashvili</b> For the issue of mirrors distribution in old Georgia .....	83



**ვლადიმერ პაპავა**

## **ცენტრალური კავკაზის ქვეყნები და ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში განვითარების პერსპექტივა**

რუსულ-ყაზახური რეგიონული პროექტი „ევრაზიული ეკონომიკური კავშირი“ 2015 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირებს. მისი დამფუძნებელი წევრებია ბელორუსი, ყაზახეთი და რუსეთი. 2015 წლის 2 იანვრიდან ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს შეუერთდა სომხეთი, ხოლო 12 აგვისტოდან – ყირგიზეთი. თავდაპირველად, იდეა ასეთი კავშირის მიზანშეწონილობის შესახებ ჯერ კიდევ 1994 წელს ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაეევმა წამოაყენა (მაგ., [Алпысбаева, 2014]).

ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ხუთი წევრი-სახელმწიფოდან სამი ცენტრალური კავკაზის რეგიონიდანაა. კერძოდ, ესენია: სომხეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი.

იმისათვის, რომ მეტ-ნაკლებად რეალისტური სურათი წარმოვადგინოთ ცენტრალური კავკაზის ქვეყნების ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში განვითარების პერსპექტივის შესახებ აუცილებელია ამ რეგიონის (ცენტრალური კავკაზის) მოკლე გეოპოლიტიკური დახასიათება და მოცემული კავშირის (ევრაზიული ეკონომიკური კავშირის) ეკონომიკურ მექანიზმზე ყურადღების გამახვილება.

ცენტრალური კავკაზის, როგორც ასეთის, განხილვის მიზანშეწონილობის საკითხი ცენტრალურ ევრაზიასთან მიმართებაში გახდა აქტუალური [Papava, 2008, 2009].

გეოგრაფიული ცენტრალური ევრაზია, როგორც ევრაზიის კონტინენტის ცენტრალური რეგიონი, ფაქტობრივად, მთლიანად მოიცავს გეოგრაფიულ ცენტრალურ აზიას, ხოლო ცენტრალური ევროპა მასში არ შედის. იმ ლოგიკიდან გამომდინარე, რომ გეოგრაფიული ევრაზია, როგორც კონტინენტი, მსოფლიოს ორი ნაწილისგან – ევროპისგან და აზიისგან შედგება, გეოგრაფიული ცენტრალური ევრაზია, ცენტრალურ ევროპასთან ერთად, ბუნებრივია, უნდა მოიცავდეს ცენტრალურ აზიას, აგრეთვე მათ გამაერთიანებელ ცენტრალურ კავკაზიას [ისმაილოვი... 2012:13-26; Ismailov... 2010:8-20]. ცენტრალური ევრაზიის გაბატონებული განმარტება ამ ლოგიკური დასაბუთებისგან პრინციპულად განსხვავებულია და სრულად ეფუძნება იმ ტრადიციას, რომელიც რუსმა ევრაზიისტებმა ჩამოაყალიბეს და, რომლის თანახმადაც, რუსეთი არა მარტო შედის ამ რეგიონში, არამედ მას გაბატონებული ადგილი უნდა ჰქონდეს დაკავებული [Гумилёв, 2007; Дугин, 1997, 2004а, 2004б; Трубецкой, 2007].

პოსტსაბჭოთა პერიოდში აშკარად გამოიკვეთა ცენტრალური კავკასიის ქვეყნების – აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის [ისმაილოვი... 2007; Ismailov...

2006, 2008] და ცენტრალური აზიის ქვეყნების – თურქმენეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის პრობლემების ერთობლივად განხილვისადმი დაინტერესება (მაგ., [Bertsch... 2000; Oliker... 2003; Sabahi... 2004]). ევრაზიის ტებისგან განსხვავებით, ამ რეგიონს, რომელიც შემდგარია რვა ჩამოთვლილი ქვეყნისგან, როგორც წესი, ასევე ცენტრალურ ევრაზიას უწოდებენ (მაგ., [Amineh... 2005:2-3; Fairbanks... 2001:vii; Meyer, 2004:206; Xuetaang, 2006: 117]). როგორც აღინიშნა, რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, რუსი სპეციალისტები ცენტრალური ევრაზიის რეგიონში ხსენებულ რვა ქვეყანასთან ერთად არა უბრალოდ რუსეთსაც მიაკუთვნებენ, და მიიჩნევენ, რომ სწორედ რუსეთია ცენტრალური ევრაზიის რეგიონის გამაერთიანებელი.

ორივე ეს მოსაზრება ეფუძნება რეგიონისადმი იმპერიული ხასიათის გეოპოლიტიკურ ხედვას, რომლის საპირისპიროდ, შეთავაზებული იქნა დემოკრატიულ სანქსიებზე დაფუძნებული გეოპოლიტიკური მიდგომა [Papava, 2010]. მის საფუძვლად აღებულ იქნა განსახილავი რეგიონის ახლებური გააზრება. კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ ზემოხსენებული რვავე ქვეყანა აყალიბებს ორ ქვერეგიონს – ცენტრალურ კავკასიას და ცენტრალურ აზიას, მათ მომცველ უფრო მსხვილ რეგიონს ვუწოდეთ *ცენტრალური კავკაზია* [პაპავა, 2009; Papava, 2008, 2009]. ამ ტერმინოლოგიურ კონსტრუქციაში შენარჩუნებულია სიტყვა „ცენტრალური“, რომელიც საერთოა ორივე ქვერეგიონისათვის, ხოლო სიტყვა „კავკაზია“ ნაწარმოებია ორი სიტყვის – „კავკასია“ და „აზია“ – გაერთიანებით.

ცენტრალური კავკაზიის რეგიონში, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური თუ კულტურული ჰომოგენურობის არარსებობის გამო იგი არ არის ინტეგრირებული [Weisbrode, 2001:13]. მიუხედავად ამისა, ამ რეგიონში შემავალ ქვეყნებს მაინც ბევრი რამ აქვთ საერთო, რაც განაპირობებს მათი ერთიანი რეგიონის ფარგლებში განხილვის მიზანშეწონილობას [Исмаилов... 2005, Музаффарли, 2006].

ცენტრალურკავკაზიურ ქვეყნებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მეტ-ნაკლებად ერთნაირი სასტატო პირობები ჰქონდათ. კერძოდ, მათ არ გააჩნდათ სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელი უმთავრესი ინსტიტუციები, ხოლო პოლიტიკური კულტურის დონე საკმაოდ დაბალი იყო; თანაც ყველა ეს ქვეყანა დადგა მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლის პრობლემის წინაშე. ამასთან, ცენტრალური კავკაზია კონფლიქტური ქვერეგიონებითაც ხასიათდება (მაგ., [Weisbrode, 2001]), რაც მეტ-ნაკლებად აბრკოლებს როგორც ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, ისე იმ პოტენციური შესაძლებლობების გამოყენებას, რომლებიც მოცემულ რეგიონს აქვს. იმასაც უნდა გაეხსენებინა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველა რეგიონულ კონფლიქტში რუსეთი ჩაბმულია როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისითაც [Simons, 2008:47].

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ცენტრალური კავკაზიის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა ნახშირწყალბადოვანი რესურსების

დიდი მარაგების არსებობა (მაგ., [Gelb, 2008; Gelb... 2004; Алиев, 2003]), რაც მას სულ ცოტა მიმზიდველს ხდის საინვესტიციო თვალსაზრისით (მაგ., [Starr, 2003]). არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ რეგიონზე მსოფლიო და რეგიონული ლიდერი სახელმწიფოების მხრიდან პოლიტიკური ზეგავლენის დამყარების მცდელობა, რაც სავსებით ბუნებრივია იმის გათვალისწინებით, რომ ამ სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა და ენერგეტიკული პოლიტიკა, როგორც წესი, ინტეგრირებულია (მაგ., [Kalicki... 2005; Hill, 2004; Rakel, 2005]).

საყურადღებოა, რომ ყაზახეთის გარდა სხვა ცენტრალურკავკაზიურ ქვეყნებში შეინიშნება პირუკუ დამოკიდებულება ნახშირწყალბადოვანი რესურსების ბუნებრივ სიმდიდრესა და საბაზრო რეფორმებს შორის, როცა ასეთი რესურსების არსებობა აფერხებს ამ რეფორმებს, რადგანაც ამ ქვეყნებს აქვს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ არ დასჭირდეთ კრედიტების აღება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან, რაც მხოლოდ საბაზრო რეფორმების გატარების შემთხვევაში გაიცემა [Åslund, 2003]. ისიც ფაქტია, რომ მთლიანობაში ცენტრალური კავკაზიის ქვეყნების ეკონომიკა, სამუხაროდ, მეტისმეტად პოლიტიზებულიად რჩება [Simons, 2008:7].

როგორც აღინიშნა, რვა ცენტრალურკავკაზიური ქვეყნიდან სამი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრია.

საზგასასმელია ის გარემოება, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შექმნა პოლიტიკოსთა და ექსპერტთა ნაწილმა აღიქვა, როგორც რუსეთში ევრაზიიზმის იდეოლოგიის გამარჯვება. აქვე აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ევრაზიიზმი, როგორც იდეოლოგია არის ღია ანტივესტერნიზმის გამოვლინება [Papava, 2013].

ევრაზიიზმის ეკონომიკური მოდელი ეფუძნება იდეოკრატიის, ანუ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში იდეური სანყისის დომინირებას. ევრაზიისტები ბაზარსა და კერძო საკუთრებას განიხილავენ, როგორც პრაგმატულად დასაშვებ და პრაგმატულად სასარგებლო სფეროს, რის საფუძველზეც ისინი არა „საბაზრო ეკონომიკას“, არამედ „ბაზრის მქონე საზოგადოებას“ აღიარებენ. ევრაზიისტებისთვის უმთავრესი ამოცანაა ევრაზიის ერთიან სახელმწიფოში მცხოვრები კონკრეტული ხალხების კულტურულ-ისტორიული გზის ამსახველი ყველა ეკონომიკური სისტემის შენარჩუნება და განვითარება. „საკუთრების პრინციპთან“ შედარებით ევრაზიისტები უპირატესობას ანიჭებენ „ფლობის პრინციპს“, როცა მესაკუთრემ უნდა იხელმძღვანელოს სოციალური პასუხისმგებლობით და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნებზე უნდა იყოს ორიენტირებული. სხვა სიტყვებით, მესაკუთრე თავისი საკუთრების გამოყენებისათვის პასუხისმგებელი უნდა იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. პარალელურად სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ეროვნულ მენარმეობას, გაატაროს პატერნალისტური პოლიტიკა, აამოქმედოს სატარიფო და არასატარიფო პროტექციონიზმის მექანიზმები [Дугин, 2004б].

ევრაზიიზმის ეკონომიკური მოდელის ჩამოთვლილ ზოგიერთ მახასიათებელთან (მაგ., „ბაზრის მქონე საზოგადოება“ სახელმწიფო საკუთრება, როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნის მიღწევის გარანტი) ყველაზე ახლოს, ქვეყნის მმართველობის რეჟიმიდან გამომდინარე, ბელორუსის ეკონომიკაა. რაც შეეხება სომხეთსა და ყაზახეთს, მათში უკვე ჩატარდა მეტ-ნაკლებად წარმატებული საბაზრო რეფორმები; ხოლო ყირგიზეთსა და რუსეთში მსგავსი რეფორმები განსაკუთრებით წარმატებული მხოლოდ პოსტსაბჭოთა ეპოქის საწყის ეტაპზე იყო.

სინამდვილეში, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მოდელი ევრაზიისტების ეკონომიკური შეხედულებებისგან პრინციპულად განსხვავდება [Laruelle, 2015; Papava, 2015].

ის ეკონომიკური მოტივი, რაც ემსახურება ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში ინტეგრაციულ პროცესს ნავთობისა და გაზიდან მიღებული შემოსავლების გადანაწილებითი მექანიზმია, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს [Кнобеля, 2015].

ევრაზიული ეკონომიკური კავშირი იმავდროულად საბაჟო კავშირიცაა, რის გამოც ამ კავშირის შიგნით საექსპორტო ბაჟი არ გადაიხდება. ეს იმას განაპირობებს, რომ ამა თუ იმ რესურსის ფასი მსოფლიო ფასზე ამ ბაჟის ოდენობითაა შემცირებული. საექსპორტო ბაჟის გადახდა მხოლოდ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის საზღვრის გადაკვეთისას ხდება, რის გამოც რუსეთის მიერ მისაღები შემოსავლების ნაწილი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სხვა წევრების სასარგებლოდ გადანაწილდება. რადგანაც რუსეთის ძირითადი საექსპორტო პროდუქცია ნავთობი და გაზია, სწორედ მათგან მიღებული შემოსავლების გადანაწილება არის ევრაზიული ეკონომიკური კავშირის უმთავრესი მაინტეგრირებელი მექანიზმი.

აშკარაა, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ინტეგრაციის მოცემული სქემა რუსეთისთვის ეკონომიკურად წამგებიანია, მაგრამ ამის მიუხედავად სწორედ ის უზრუნველყოფს მოსკოვის იმპერიულ ამბიციას, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს მოდერნიზებული საბჭოთა კავშირის თანდათანობითი რეანიმაცია. ევრაზიული ეკონომიკური კავშირისადმი მოსკოვის ამგვარი მიდგომა უშუალოდ გამომდინარეობს მიდგომიდან, რომლის თანახმადაც ენერგეტიკული რესურსების გამოყენების გზით რუსეთს აქვს კურსი აღებული არა იმდენად ეკონომიკური განვითარებისაკენ, რამდენადაც გეოპოლიტიკური ძალაუფლების გაძლიერებისკენ [Appel... 2015].

იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ეტაპზე ენერგომატარებლებზე მსოფლიო ფასებს მკაფიოდ გამოხატული კლების ტენდენცია აქვს, ხსენებული გადანაწილებითი მექანიზმის ეფექტიანობა ასევე მცირდება.

2014 წლის გაზაფხულიდან აშშ-მა და შემდეგ სხვა ქვეყნებმაც რუსეთის წინააღმდეგ აამოქმედეს ეკონომიკური სანქციები, რისი მიზეზიც იყო რუსეთის მიერ ყირიმის შემოერთება და უკრაინის აღმოსავლეთში შეიარაღებული კონფლიქ-

ტი. ეს სანქციები ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სხვა წევრ-ქვეყნებზე არ ვრცელდება.

იმავე წლის აგვისტოდან მოსკოვმა რუსეთის წინააღმდეგ არსებული სანქციების საპირისპიროდ შემოიღო ანტისანქციები.

რადგანაც რუსეთის წინააღმდეგ მიღებული სანქციები არ ვრცელდება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სხვა წევრ-ქვეყნებზე, ამიტომ არც ეს უკანასკნელნი არ შეერთებიან რუსეთის მიერ მიღებულ ანტისანქციებს. შედეგად ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ამ ქვეყნებიდან რუსეთის ტერიტორიაზე შედის ის საქონელიც, რომლის იმპორტიც რუსეთში მოსკოვის მიერაა აკრძალული. სახეზეა ვითარება, რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ერთიანი საბაჟო ტერიტორიის მთლიანობის პრინციპს.

პოლიტიკური ამბიციების გამო ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსკოვმა უარი თქვას ანტისანქციებზე მანამ, სანამ რუსეთის წინააღმდეგ მიღებული სანქციები გაუქმდება. იმავდროულად, ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ აშშ-მა და სხვა ქვეყნებმა გააუქმონ სანქციები იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი უარს არ იტყვის ყირიმის შემოერთებასა და უკრაინის აღმოსავლეთში შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირებაზე. ამ ლოგიკური ჯაჭვის გაგრძელება კი ის არის, რომ დიდი ალბათობით მოსკოვი არ დათმობს არც ყირიმს და არც უარს იტყვის უკრაინის აღმოსავლეთში სეპარატისტული მოძრაობის მხარდაჭერაზე.

ამ მიზეზების გამო ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მომავალი ვერანაირად იქნება ოპტიმისტური [Papava, 2015].

ამგვარ ვითარებაში საინტერესოა იმის გაანალიზება, თუ რამდენად შესაძლებელია ევრაზიული ეკონომიკური კავშირის გაფართოება ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ხარჯზე.

ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ცენტრალურკავკასიური სამი ქვეყნიდან ორს სომხეთსა და ყირგიზეთს (ისევე, როგორც არაცენტრალურკავკასიურ ბელორუსს) არ აქვს საკუთარი ნახშირწყალბადოვანი რესურსები, რის გამოც მათთვის მნიშვნელოვანია რუსული ენერგეტიკული რესურსების ექსპორტისაგან შემოსავლების მიღება. გარდა ამ ფაქტორისა, სომხეთის ევრაზიული ეკონომიკური კავშირში ყოფნა უფრო მეტად იმითაა განპირობებული, რომ მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მოსკოვის მხარდაჭერას აზერბაიჯანთან და თურქეთთან დაპირისპირებაში, უწინარეს ყოვლისა, მთიანი ყარაბაღის საკითხში. რაც შეეხება ყირგიზეთს, მისი ეკონომიკა ძლიერ არის ინტეგრირებული ყაზახეთის ეკონომიკასთან, რის გამოც როცა ყაზახეთი არის ევრაზიული ეკონომიკური კავშირის არა უბრალო წევრი, არამედ მისი შექმნის ინიციატორიც, ყირგიზეთს სხვა გზა არ ჰქონდა დარჩენილი, თვითონაც უნდა განეწიანებულიყო ამ კავშირში.

მიუხედავად იმისა, რომ ყაზახეთს თავად გააჩნია ნახშირწყალბადოვანი რესურსები, მისი დაინტერესება ზოგადად რუსეთთან დაახლოებაში, და კონკრეტულად, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შექმნაში განპირობებულია ეთნიკური

რუსების დიდი რაოდენობით, რომლებიც დასახლებული არიან ყაზახეთის ჩრდილოეთ, რუსეთის მოსაზღვრე რეგიონებში.

რაც შეეხება ცენტრალური კავკაზიის დარჩენილი ქვეყნების ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში შესაძლო განევრიანების პერსპექტივას, უნინარეს ყოვლისა, ყურადღება გასამახვილებელია იმ ცენტრალურკავკაზიურ ქვეყნებზე, რომელთაც წესით ყველაზე უფრო მეტი დაინტერესება უნდა ჰქონდეთ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მაინტეგრირებელი ეკონომიკური მექანიზმის გამოყენებაში, ანუ რუსული ენერგეტიკული რესურსების ექსპორტისაგან შემოსავლების მიღებაში. ამ თვალსაზრისით აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და უზბეკეთისათვის ეს ეკონომიკური მექანიზმი ნაკლებად საინტერესოა, რადგანაც ეს ქვეყნები თავად არიან საკუთარი ენერგეტიკული რესურსების ექსპორტიორები. ამ კუთხით ცენტრალურკავკაზიური ქვეყნებიდან მხოლოდ ორი ქვეყანა – საქართველო და ტაჯიკეთი დარჩენილი, რომლებიც არ გამოირჩევიან ნახშირწყალბადოვანი რესურსების სიმდიდრით.

საქართველომ თავისი არჩევანი უკვე დიდი ხანია დასავლეთის სასარგებლოდ გააკეთა [Rondeli, 2001]. საქართველოსთვის ბევრად უფრო უკეთესია როგორც ეკონომიკურად, ისე დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით ევროკავშირში, ვიდრე ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში განევრიანება [Papava, 2017].

რაც შეეხება ტაჯიკეთს, მისი ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში განევრიანების ალბათობა საკმაოდ მაღალია და მოსკოვიც ღიად სთავაზობს დუშანბეს ამ კავშირის წევრად გახდომას (მაგ., [Панфилова, 2018]), თუმცა დუშანბე ჯერჯერობით არ ჩქარობს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას (მაგ., [Спутник, 2018]).

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანს, თურქმენეთსა და უზბეკეთს თავად გააჩნიათ ნახშირწყალბადოვანი რესურსები, თეორიულად სულაც არ არის გამორიცხული, რომ სხვა, კერძოდ, პოლიტიკური მოსაზრებებით (როგორც ეს აღმოჩნდა ყაზახეთის შემთხვევაში) მათგან რომელიმეს მაინც მოუხდეს ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში განევრიანება, რაც განპირობებული შესაძლოა გახდეს სხვადასხვა გეოპოლიტიკური (მაგ., [გეგეშიძე, 1997; გორგილაძე, 2009; გრიგალაშვილი, 2007; მეტრეველი, 2007; რონდელი, 2003; ჩიტაძე, 2011]) და გეოეკონომიკური (მაგ., [კვინიკაძე, 2008; Kvinikadze, 2017]) პრობლემიდან გამომდინარე. თუმცა ამის ალბათობა უახლოეს პერიოდში, განსაკუთრებით, რუსეთის მიმართ სანქციების გამოყენების პირობებში, საკმაოდ დაბალ დონეზე უნდა შეფასდეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის დღევანდელი მდგომარეობა და მისი მომავალი იმდენად ვერ იძლევა ოპტიმიზმის საშუალებას, რომ მისი გაფართოება ცენტრალურკავკაზიური სახლმნიფოების ხარჯზე უახლოეს მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. იმავდროულად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მაღალი ალბათობით ამ კავშირის წევრი შესაძლოა გახდეს ტაჯიკეთი, თუმცა დუშანბე ამ პოლიტიკური გადაწყვეტილებისაგან ჯერჯერობით მაინც თავს იკავებს.

## ლიტერატურა – References

1. გეგეშიძე ა. 1997: გეოპოლიტიკა. თბილისი. ESM-თბილისი.
2. გორგილაძე ი. 2009: გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბილისი.
3. გრიგალაშვილი ს. 2007: გეოპოლიტიკა. თბილისი.
4. ისმაილოვი ე., პაპავა ვ. 2007: ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბილისი.
5. ისმაილოვი ე., პაპავა ვ. 2012: ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება. თბილისი.
6. კვინიკაძე გ. 2008: გეოეკონომიკა. თბილისი.
7. მეტრეველი რ. 2007: კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში. თბილისი.
8. პაპავა ვ. 2009: ცენტრალური კავკასია (გეოპოლიტიკური ნარკვევი). თბილისი.
9. რონდელი ა. 2003: პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. თბილისი.
10. ჩიტაძე ნ. 2011: გეოპოლიტიკა. თბილისი.
11. Amineh M. P., Houweling H. 2005: Introduction: The Crisis in IR-Theory: Towards a Critical Geopolitics Approach. In *Central Eurasia in Global Politics: Conflict, Security and Development*, eds. M. P. Amineh, and H. Houweling. Leiden, Brill.
12. Appel H., Gelman V. 2015: Revising Russia's Economic Model: The Shift from Development to Geopolitics. PONARS Eurasia Policy Memo. No. 397, November, <http://www.ponarseurasia.org/sites/default/files/policy-memos-pdf/Pepm397-Appel-Gelman-Nov2015.pdf>.
13. Åslund A. 2003: Eventual Success of Market Reform. In *Russian-Eurasian Renaissance? U.S. Trade and Investment in Russia and Eurasia*, eds. J. H. Kalicki, E. K. Lawson. Washington, D.C., Woodrow Wilson Center Press.
14. Bertsch G. K., Craft C., Jones S. A., Beck M., eds. 2000: *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in The Caucasus and Central Asia*. New York, Routledge.
15. Fairbanks C., Nelson C. R., Starr S. F., Weisbrode K. 2001: *Strategic Assessment of Central Eurasia*. Washington, D.C., The Atlantic Council of The United States, Central Asia-Caucasus Institute, Johns Hopkins University.
16. Gelb B. A. 2008: *Caspian Oil and Gas: Production and Prospects. Current Politics and Economics of the Caucasus Region*. Vol., 1, No. 2/3.
17. Gelb B. A., Twyman T. R. 2004: *The Caspian Sea region and Energy Resources*. New York, Novinka Books.
18. Hill F. 2004: *Energy Empire: Oil, Gas and Russia's Revival*. London, The Foreign Policy Centre, <https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/06/20040930.pdf>.
19. Ismailov E., Papava V. 2006: *The Central Caucasus: Essays on Geopolitical Economy*. Stockholm, CA&CC Press.
20. Ismailov E., Papava V. 2008: *A New Concept for the Caucasus. Southeast European and Black Sea Studies*. Vo. 8, No. 3.

21. Ismailov E., Papava V. 2010: Rethinking Central Eurasia. Washington, D.C., Johns Hopkins University-SAIS; Stockholm, Institute for Security and Development Policy, <http://www.silkroadstudies.org/resources/pdf/Monographs/2010-MONO-Ismailov-Papava-Rethinking-Central-Eurasia.pdf>.
22. Kalicki J., Goldwyn D. L., eds. 2005: Energy and Security: Toward a New Foreign Policy Strategy. Washington, D.C., Woodrow Wilson Center Press.
23. Kvinikadze G. 2017: Conceptualization of Geo-Economic Threats in Small Countries with Transition Economies. *Economic and Regional Studies*. Vol 10, No 3.
24. Laruelle M. 2015: Eurasia, Eurasianism, Eurasian Union: Terminological Gaps and Overlaps. PONARS Eurasia Policy Memo. No. 366, July, <http://www.ponarseurasia.org/sites/default/files/policy-memospdf/Pepm366-Laruelle-July2015.pdf>.
25. Meyer K. 2004: The Dust of Empire: The Race for Supremacy in the Asian Heartland. London, Abacus.
26. Olikier O., Szayna T. S., eds. 2003: Faultlines of Conflict in Central Asia and the South Caucasus: Implications for the U.S. Army. Santa Monica, RAND.
27. Papava V. 2008: Central Caucaso-Asia: Toward a redefinition of post-Soviet Central Eurasia. *Azerbaijan in the World*. The Electronic Publication of Azerbaijan Diplomatic Academy. Vol. I, No. 17, October 1, <http://biweekly.ada.edu.az/vol-1-no-17/Toward-a-redefinition-of-post-Soviet-Central-Eurasia.htm>.
28. Papava V. 2009: Eurasia Versus Central Caucaso-Asia: On the Geopolitics of Central Caucaso-Asia. CICERO Foundation Great Debate Paper. No. 09/8, December, <http://www.cicerofoundation.org/lectures/Vladimer-Papava-On-the-Geopolitics-of-Central-Caucaso-Asia.pdf>.
29. Papava V. 2010: Central Caucaso-Asia: From Imperial to Democratic Geopolitics. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. Vol. 4, No. 1.
30. Papava V. 2013: The Eurasianism of Russian Anti-Westernism and the Concept of „Central Caucaso-Asia“. *Russian Politics & Law*. Vol. 51, No. 6.
31. Papava V. 2015: Economic Models of Eurasianism and the Eurasian Union: Why the Future is Not Optimistic. *The Central Asia-Caucasus Analyst*. October 29, <http://cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13296>.
32. Papava V. 2017: A Eurasian or a European Future for Post-Soviet Georgia's Economic Development: Which is Better? *Archives of Business Research*. Vol. 5, No.1, <http://scholarpublishing.org/index.php/ABR/article/view/2651/1554>.
33. Raket E. 2005: Paradigms of Iranian Policy in Central Eurasia and Beyond. In *Central Eurasia in Global Politics: Conflict, Security and Development*, eds. M. P. Amineh, H. Houweling. Leiden, Brill.
34. Rondeli A. 2001: The Choice of Independent Georgia. In *The Security of the Caspian Sea Region*, ed. G. Chufrin. New York: Oxford University Press.
35. Sabahi F., Warner D., eds. 2004: The OSCE and the Multiple Challenges of Transition. *The Caucasus and Central Asia*. Aldershot, Ashgate.
36. Simons Jr. T. W. 2008: Eurasia's New Frontiers: Young States, Old Societies, Open Futures. Ithaca, Cornell University Press.



37. Starr S. F. 2003: The Investment Climate in Central Asia and the Caucasus. In Russian-Eurasian Renaissance? U.S. Trade and Investment in Russia and Eurasia, eds. J. H. Kalicki and E. K. Lawson. Washington, D.C., Woodrow Wilson Center Press.
38. Weisbrode K. 2001: Central Eurasia: Prize or Quicksand? Contenting Views of Instability in Karabakh, Ferghana and Afghanistan. The International Institute for Strategic Studies, Adelphi Paper 338. New York, Oxford University Press.
39. Xuetang G. 2006: The Energy Security in Central Eurasia: the Geopolitical Implications to China's Energy Strategy. China and Eurasia Forum Quarterly. Vol. 4, No. 4.
40. Алиев И. 2003: Каспийская нефть Азербайджана. Москва, «Известия».
41. Алпысбаева Ж. 2014: Нурсултан Назарбаев: От идеи евразийского союза к перспективам евразийской интеграции. zakon.kz. Май 30, <http://www.zakon.kz/4628189-nursultan-nazarbaev-ot-idei.html>.
42. Гумилёв Л. 2007: Ритмы Евразии: Эпохи цивилизации. Москва, АСТ.
43. Дугин А. 1997: Основы геополитики. Геополитическое будущее России. Москва, «Арктогея».
44. Дугин А. 2004а: Евразийская миссия Нурсултана Назарбаева. Санкт-Петербург, Евразия.
45. Дугин А. 2004б: Проект «Евразия». Москва, Эксмо, Яуза.
46. Исмаилов Э., Эсенов М. 2005: Центральная Евразия в новых геополитических и геоэкономических измерениях. Центральная Евразия 2005 (Аналитический ежегодник). Stockholm, SA&CC Press.
47. Кнобель А. 2015: Евразийский экономический союз: перспективы развития и возможные препятствия. Вопросы экономики. № 3.
48. Музаффарли (Иманов) Н. 2006: Рейтинг Азербайджана в международных сравнительных исследованиях. Баку, «Кавказ».
49. Панфилова В. 2018: Таджикистан зовут в Евразийский экономический союз. Вестника Кавказа. Апрель 23, <http://vestikavkaza.ru/analytics/Tadzhikistan-zovut-v-Evraziyskiy-ekonomicheskiy-soyuz.html>.
50. Sputnik 2018: Министр: Таджикистан все еще изучает плюсы и минусы от вступления в ЕАЭС. Sputnik, Август 10, <https://ru.sputnik-tj.com/economy/20180810/1026413934/tajikistan-eaes-vstuplenie.html>.
51. Трубецкой Н. 2007: Наследие Чингисхана. Москва, Эксмо.

## Vladimer Papava

### THE CENTRAL CAUCASO-ASIAN COUNTRIES AND THE PROSPECTS OF THEIR MEMBERSHIP TO THE EURASIAN ECONOMIC UNION

#### Summary

A new Russian-Kazakh regional project, known as the Eurasian Economic Union (EAEU), commenced operation in 2015. Specifically, this means that, as of January 1, 2015, integrated economic processes between Belarus, Kazakhstan and Russia are governed by the Treaty on the Eurasian Economic Union. As of January 2, 2015 Armenia acceded to the

EAEU, followed by Kyrgyzstan on August 21. Three of these countries (Armenia, Kazakhstan and Kyrgyzstan) belong to the Central Caucasus-Asia region.

If we proceed from the fact that the eight countries (Armenia, Azerbaijan, Georgia, Kazakhstan, Kyrgyzstan, Tajikistan, Turkmenistan and Uzbekistan) are formed into two sub-regions – the Central Caucasus and Central Asia – the larger region, which includes both sub-regions, can be called the Central Caucasus-Asia: this preserves the term “Central” as the key one for both regions, while the new term “Caucasus-Asia” is derived from two related terms “Caucasus” and “Asia”.

Central Caucasus-Asia is not integrated because it has no political or cultural homogeneity. At the same time, its component parts have much in common, which makes it possible to regard them as a single region.

Central Caucasus-Asia has several conflict sub-regions in its territory, something that interferes, to various degrees, with economic progress in some of the countries; it also prevents the local countries from using local resources to move together in the desired direction. It is important to note that Russia is involved both militarily and politically in all regional conflicts in the post-Soviet expanse.

The region’s rich hydrocarbon resources attract investments and tempt regional and world powers to politically dominate there.

The newly coined term “Central Caucasus-Asia” does not merely specify the region’s geographic identity: it is a conceptual idea of the interests of strengthening the local countries’ state sovereignty, which, in principle, contradicts the spirit and idea of Eurasianism.

Following the establishment of the EAEU, some politicians and experts have perceived the event as the ultimate victory of Eurasianism in Russia. In fact between them there is nothing in common.

The principal goal of the EAEU at the current stage is to deepen the trade and economic integration of its member countries, which is in no way linked with the economic model of Eurasianism, even on a theoretical level.

A key economic motif that facilitates the integration process of the EAEU is a redistribution mechanism for revenues from oil and gas. Specifically, no export duty is imposed within the EAEU; consequently, the price of a given resource is reduced by the amount of the export duty in contrast with the global price for said resource, which leads to domestic production subsidies. Export duties are collected only when commodities exit the borders of the EAEU, at which point some of the revenues to be received by Russia would be redistributed to the benefit of other member countries. As oil and gas comprise the main export product for Russia, it is the redistribution of the revenues received from these commodities that is a key economic motive for integration.

Even though the scheme on which the EAEU is based is economically unprofitable for Russia, it is a scheme that secures Moscow’s imperial ambition of the gradual reanimation of the Soviet Union in its modernized form.

At present, it is noteworthy that global prices on raw materials, especially on energy resources, are exhibiting a clear downward trend. Thus, the effectiveness of the redistribution mechanism outlined above is reduced.

As a result of Russian annexation of Crimea and the armed conflict in Eastern Ukraine, as of the spring of 2014, the US (subsequently joined by other countries) imposed economic sanctions against Russia. This posed a new challenge to the EAEU, as the sanctions do not apply to its other member states. As of August 2014, Moscow imposed so-called anti-sanctions, thereby counteracting the existing sanctions against Russia and banning the import of food products from the US and other respective countries.

Given that the sanctions are only imposed against Russia and do not apply to other member countries of the EAEU, the latter have not joined the anti-sanctions as imposed by Russia. Therefore, the goods banned by Moscow may still enter the territory of Russia from other EAEU member countries. This possibility is not ruled out by the common customs territory of the EAEU which includes all of its member countries. As a result, the future of the EAEU is not optimistic.

Expansion of the EAEU in the nearest future by involvement of other countries from the Central Caucaso-Asia is hardly probable. Azerbaijan, Turkmenistan and Uzbekistan are the rich countries having their own hydrocarbon resources. So they have less interest to use the above mentioned redistribution mechanism for revenues from Russian oil and gas. Georgia has already made its choice to join the EU. And Tajikistan doesn't hurry to make the final choice.